ოთხშაბათი, 10 იანვარი, 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 4.

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კონტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ი ს ა რ ი

გაზეთი ღირს:

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — კ. | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარედ | 7 „ — „ | ტფილისს გარედ | 4 „ 50 „ | ტფილისს გარედ | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარედ | 12 „ — „ | საზღვარ-გარედ | 6 „ — „ | საზღვარ-გარედ | 1 „ 50 „ |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**ხელის მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ.-გ.-კ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). **ბაქოში:** გიორგი ჩხეიძესთან (პინჯარაძის და ჩხეიძი მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».**

**კნიაჟნა ოლღა ნიკოლოოზის ასული, თავადნი ნიკოლოზ, ნესტორ და სამსონ ნიკოლოოზის ძენი, აგრაფინა, თამარ და ნინო წულუკიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—დედისა, მეორენი—დიდდედის პოლკოვნიკის ნიკოლოზ წულუკიძის ქვრივის

### კნ. დესპინე წულუკიძისას.

ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან (დადიანის ვიწრო ქუჩა, ბაბელიას სახლი) ოთხშაბათს, 10 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე. (1—კვ. 1)

SALON „MODES“

## ს ა მ კ ე რ ვ ა ლ ო

ვღებულობთ და ვასრულებთ წესიერად, თავის დროზე, ყოველნაირ დაკვეთას

### ქალთა ტანისამოსისა

გვექნება მრავალნაირი ნიმუშები „მატერიებისა“

## ახალ-ახალ მოდაზე

როგორც საკაბე, ისე საპალტოვე და ყოველნაირი ბაფთები (კრუჟევა) და სხვა მასალა მათდა გასაწყობად.

**მსურველთ ვასწავლით ჭრა-კერვას და ქარგვას.**

სერგიევის ქუჩაზე მირზოევის სახლში № 1—9 (სოლოლაკი). (50—64—40

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ფ. ი. რუდენკო**—შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ და პარასკეობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**ექ. ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. ასპისოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. ვ. გ. ბოყოვსკი**—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ა. ი. პავლიცკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე. კვირაობით 4—5 ს.

**ექ. ვ. ი. ინაევი**—შინაგანი 11—1 ს. ორშ., სამშ., ოთხშ., პარ. ქალთა სნეულ. 1—2 ს. ხუთ, პარ. და კვირაობით.

**ექ. ა. ა. მონჩე**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ფ. რონზმანსკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთშაბ., შაბათს 11—12 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

**ვ. ი. ნნაევ.**—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ორშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. მ. ი. გოროდცოვა.** მასსაჟი 11—4 ს.

**ექ. კ. მ. პივარსკი** } კლინიკური ანალიზი.
**ექ. გ. ი. ჩუდნოვსკი** }

**ექ. გ. ი. ონოზკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—36)

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს, მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—ნ.—23)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

## ვერის სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა.

ოლგას ქუჩა № 35.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

**ექ. შახნუდაგოვი**—ნერვებისა და საელექტრო წამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.

**ექ. მელიქ-ეინათოვი**—ვენერიული, კანისა და საშარდე 9½—11 ს.

**ექ. რამენდიკი**—შინაგანი 10½—11½ ს.

**ექ. ზაკრჟევსკი**—ქალისა და საზეზიო 11—12 საათამდე.

**ექ. ქაფანაროვი**—თვალისა 1—2 ს.

**ექ. კიკოზანიძე**—ქირურგიული 12—1 ს.

**ექ. მარცინკევიჩი**—ბავშვისა 12—1 ს.

**ექ. შტრეიხერი**—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

**ექ. გამბურგერი**—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციის მორიგებით.

**სამკურნალოში შეიძლება მასსაჟი.** (100—78)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—23)

ექიმი

**გ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას. სპეციალური ექიმთა კუჭისა და ნაწლევ სა. მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს., № 36, სახ. ჭავჭანიძისა (25—2)

ქ. ქუთაისში

**ბავშვების ექიმი ბადრიძე**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12, საღამოს 1—5 საათზე. ციციაშვილის სახლი, პოლიციის პირდაპირ. (25—55—24)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—7)

მედიცინის დოქტორი

**მ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი**

რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორად იყო, იღებს საშარდეს, ვენერიულ (სიფილისი) და კანის სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—12 საათ., საღამოთი 5—7 ს. სოლოლაკი, რტიშჩევის ქ., № 1, ცეცხლის-მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (25—ხალ.—15).

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს სიფილისიან, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 12—2 საათამდის. გივიშვილის ქუჩა, აბულაძის შესახვევი იობელიანის სახლში. (25—თვ.—18)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (25—5)

**✦ლაკტო-ბაცილიანი რძე✦**

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

### ა. ს. კლემანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 339. (100—51—45)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

**აცნობებს ტფილისის მცხოვრებთ, რომ ამ წლის 1-ლ იანვრიდან წყალი ახალის ტაქსით გაიყიდება; ეს ტაკსა გაკრულია წყლის ყოველ ბუდკაზე და ამიტომ, თუ წყლის მომტანი ან მზიდავი ვისმეს ტაკსაზე მეტს გადაახდევინებს, გამგეობა სთხოვს წერილობით საჩივარი გამოგზავნონ, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს გვარი და ნომერი იმ პირთა, ვინც ტაკსაში გამოცხადებულის ფასზე მეტს იღებს წყალში.** (2—6—1)

### ტფილისი, 10 იანვარი.

ექვსი თვე შესრულდა სახელმწიფო სათათბიროს გარეკის შემდეგ; ექვსი თვეა, რაც პირველმა სათათბირომ ხმა აიმაღლა და, ცოტად თუ ბევრად, თვალი გაუსწორა ხალხის საჭიროებებს და გონიერების მოთხოვნილებას. თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ მოსპო ნასახი წარმომადგენლობით მმართველობისა, უარჰყო სავსებით რევოლიუციის მიერ წამოყენებული საკითხები, მათი გადაწყვეტა, თანახმად ხალხის სურვილისა, და მოინდომა ძველის რეჟიმის ხელ-ახლა დამყარება. სახელმწიფო სათათბიროს გარეკის შემდეგ ყველასათვის უფრო ცხადი გახდა, რომ მთელი რუსეთი ორ ბანაკადაა გაყოფილი, რომ ორი ძალა—მმართველობა და ხალხი ერთი-მეორეს ებრძვის და არავითარი შემაერთებელი ძაფი მათ შორის არ არსებობს. სათათბიროს გარეკის შემდეგ სტოლიპინმა აუწყა ქვეყანას, რომ მისი მოვალეობაა დაამყაროს მშვიდობიანობა, ხოლო მერე მოქალაქობრივი თავისუფლებები და წარმომამდგენლობითი მმართველობა. მაგრამ განცხადება სტოლიპინისა მხოლოდ პირმოთნეობა იყო, სიცრუე. მმართველობა სტოლიპინისა იყო და არის მმართველობა მცირე წრისა, რომელიც არაფერს არ ერიდება, ოღონდ ბატონობა შეინარჩუნოს. ამ ექვსი თვის განმავლობაში სტოლიპინმა უფრო გააღრმავა ის უფსკრული, რომელიც მმართველობის და ხალხის შორის იყო.

მსოფლიო ისტორიაში ძნელი მოსანახია ისეთი საშინელი, თავზარ-დამცემი ხანა, რომელსაც წარმოადგენს დღევანდელი რუსეთი. მართალია, აკლება-აწიოკება ისეთი, როგორიც სედლეცისა ან ბელოსტოკისა იყო, არ მომხდარა ამ ექვსი თვის განმავლობაში, მართალია, ისეთი გალაშქრებანი, როგორსაც 1905 წლის დეკემბერში მოვესწარით, არა ყოფილა, მაგრამ ქვეყნის აოხრებას მაინც განაგრძობენ. საკმაოა მოვიგონოთ, რომ სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღების შემდეგ (24 სექტ. 31 ოქტომბრამდე) ერთი თვის განმავლობაში 262 კაცი დახვრიტეს და ჩამოახრჩეს. საზოგადოებრივ ისტორიაში ვერც-კი შეჰხვდებით ამგვარ სისასტიკეს. პოლონეთის ცნობილ განმანადგურებელს მურავიევს თავის ბატონობის დროს არ ჩაუდენია ამგვარი საქმე. მართალია, დურნოვოს შემდეგ რეაქციონურ მმართველობას მეტი არა შეეძლო რა, რომ დაემტკიცებინა ქვეყნისათვის თავისი «ზრუნველობა» ხალხის ინტერესებისთვის. დღესაც სტოლიპინის სამინისტრო იმას გაიძახის, რომ სახელმწიფოს მომავალზე მხოლოდ იგი ზრუნავს და ფიქრობს. მაგრამ კარგად ვიცით, როგორც აინტერესებს მას მომავალი რუსეთისა. ან რა საჭიროა მისთვის მომავალი: დღეს გაიმარჯოს და თავისი სურვილები შეასრულოს—აი რა ასულდგმულებდა და ასულდგმულებს მთლად ბიუროკრატიას. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ სამინისტრომ მოსპო ფაქტიურად «კონსტიტუცია» 17 ოქტომბრისა. ამაში გამოიხატება მისი სამსახური რუსეთის საზოგადოების წინაშე. ექვსი თვის მოღვაწეობა მანიფესტის გაუქმებით დააგვირგვინა. ეს შესძლო მან...

მაგრამ, წარმოიდგინეთ, ასეთის საქმეების ჩამდენს და 17 ოქტომბრის მანიფესტის ფაქტიურად გამაუქმებელს ვერ მოუხერხებია, ვერ გაუბედნია დღესაც ფორმალურადაც უარჰყოს და გააუქმოს 17 ოქტომბრის კონსტიტუცია. ეს შეუძლებელი გახდა მათთვის, ვინც საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს და ექვსი თვის განმავლობაში ებრძვიან ხალხს, იმის საუკეთესო ელემენტებს, რომელნიც «კრამოლნიკების სახელით მონათლეს. მიაღწია თუ არა მიზანს სამინისტრომ თვისი პოლიტიკით? არა, რადგანაც მთელი შეგნებული რუსეთი მისი წინაამდეგია. ასე წარმოიდგინეთ, «17 ოქტომბრის კავშირიც»-კი, სიტყვით მაინც, თუ საქმით არა, ამხედრდა მის წინაამდეგ, მოწინავე ინტელიგენციამ ხომ კარგი ხანია უარ-ჰყო. დღეს იმის მხარეზე არიან მხოლოდ სინოდის გარეცხილი მწერლები «რუსის ხალხის კავშირის» შავრაზმელნი. ეს კამპანია-კი თავის რაოდენობით უმნიშვნელოა, ხოლო ზნეობით დაცემული, გათახსირებული, გარყვნილი. მათის შემწეობით შეუძლებელია სახელმწიფო საქმეების მოწყობა და გამოლა. ეს გარემოება მიზეზია იმისა, რომ ბიუროკრატია სავსებით ეცემა და თითონვე იმზადებს თავის დაღუპვას.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს პროცესი ნელის ნაბიჯით ხდება; მას არ ეტყობა ის სისწრაფე, რომელიც უნდათ მოწინავე ელემენტებს რუსეთის საზოგადოებისას. თანამედროვე მოძრაობა დამოკიდებულია მმართველობის დაქვეითებისაგან, სინელე უკანასკნელისა იწვევს ხალხის ბრძოლის სინელეს. ამიტომ ძნელია გადაჭრით აღვნიშნოთ, როდის მოეღება ბოლო ბიუროკრატიის ბატონობას. ერთი კი ცხადია ყველასათვის: ხალხის ძალის შებოჭვას, იმის ენერგიის შემუსვრას ვერ შესძლებს ვერაფერი, ვერა სისასტიკე. ბიუროკრატიას ექვსი თვის განმავლობაში არა ერთი ამისი დამამტკიცებელი საბუთი მისცა ხელში ცხოვრებამ. მაგრამ დღესაც, როცა მმართველობა ვითომცა სათათბიროს მოწვევაზე ლაპარაკობს, მხოლოდ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძოლაზე ფიქრობს. ის გარემოება, რომ ბიუროკრატიას არ შეუძლიან სათათბირო არ მოიწვიოს და აგრეთვე სიმულვილი სათათბიროს მხრივ—აი რა აფრთხობს ბიუროკრატიას, რა უწამლავს მას სიცოცხლეს და უკარგავს იმ იმედს, რომ მოძრაობაზე გაიმარჯვა. არა, ექვსი თვის მართვა-გამგეობამ არა თუ არ დაამშვიდა რუსეთი, არამედ მის განვითარებას სხვა მიმართულება მისცა.

### გაზეთ „ზარი“-ს

გაზეთ „ზარი“-ს მე-7 ნომერში მოთავსებულია შენიშვნა ჩემის „წერილები მუშებისადმი“-ს გამო, რომელიც დაბეჭდილია „მეგობრ“-ის მე-77 ნომერში.

ამ წერილში მე განვიხილე მოკლედ ყველა ის, რასაც სოციალ-დემოკრატები ამბობენ მიწის საკითხის შესახებ; შევეხე აგრეთვე იმ ცვლილებებს, რომელიც მათ თავიანთ პროგრამაში შეიტანეს. აღნიშნულ შენიშვნის ავტორი თავშივე ამბობს, რომ ჩემი წერილი მუშებისადმი „ტყუილებით არის სავსე“-ო. ასეთი ბრალდება, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან მძიმე ბრალდებაა, მაგრამ თუ იგი დამტკიცებული არ არის, მაშინ მთელის თავის სიმძიმით გამომგონსავე დაუბრუნდება. მართალია, შენიშვნის ავტორი ცოტა ქვემოდ ამსუბუქებს თავის მძიმე განაჩენს და მე და გაზეთ „მეგობარს“ გვიკიჟინებს მხოლოდ იმას, რომ არ ვიცნობთ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამასაო, ამასთან გვირჩევს, რომ წავიკითხოთ ეს პროგრამა. მაგრამ, არ შემიძლიან არა ვკითხო ავტორს: სად არის ტყუილი? სად აღმოაჩინა სოც.-დემოკრატების პროგრამის უცოდინარობა?

ჩემ წერილში „ტყუილი პირველი“, როგორც ამბობს შენიშვნის ავტორი, ვითომ შემდეგია: „სოციალ-დემოკრატებიო, ეუბნება ბორისოვი მუშებს, არას ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განაწილდეს მიწა“. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ჩემი სიტყვები ტყუილია, შენიშვნის ავტორი მირჩევს წავიკითხო სოც.-დემოკრატიულ პროგრამის შემდეგი ადგილი: „ჩამოერთვას ყველას მიწები (გარდა წვრილ მესაკუთრეთა) და დემოკრატიულ თვით-მმართველობას გადაეცეს“. მაგრამ სად არის აქ პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა განაწილდეს მიწა? არა მგონია, ავტორი შენიშვნისა იმდენად გულ-უბრყვილო იყოს, არ ესმოდეს, რომ მოყვანილი ადგილი სოც.-დემოკრატიულ პროგრამისა არ შეიცავს პასუხს იმისას, თუ როგორ უნდა განაწილდეს მიწა გლეხებს შორის. სად იმისი თქმა, რომ მიწა „დემოკრატიულ ორგანიზაციებს“ უნდა გადაეცეს და იმისი განმარტება, თუ როგორ განაწილდეს მიწა გლეხებს შორის. თუ შენიშვნის ავტორი იცნობს სოც.-დემოკრატიულ ლიტერატურას, უთუოდ გაიხსენებს პლეხანოვის წერილებს «Дневникъ соціалъ-демократа»-ში, სადაც იგი უსაყვედურებდა მასლოვს (ავტორს ს.-დემოკრატების ეხლანდელ ოფიციალურ პროგრამისას), რომ ამ უკანასკნელმა პასუხი არ გასცა კითხვას მიწის განაწილების შესახებ. მოვაგონებ გაზეთ „ზარ“-ს აგრეთვე ლენინის წიგნაკს: «Пересмотръ аграрной программы рабочей партіи», სადაც იგი პირდაპირ ამბობს: „...ჩვენ განზე ვტოვებთ იმ საკითხს, თუ რა უნდა უყოთ მიწას (როგორ უნდა განაწილდეს მიწა), როგორც მეურნეობის ობიექტს—ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლიანთ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და უნდა გადასწყვიტონ მხოლოდ მსხვილმა და წვრილმა მეპატრონეებმა“ (რუსულად ეს უკანასკნელი სიტყვები ასეა: «будутъ рѣшать только хозяева и хозяйчики»).

ბევრ სხვა მაგალითის მოყვანა შემიძლიან, მაგრამ ვფიქრობ, ყველასთვის, ვისაც სოც.-დემოკრატიულად არა აქვს გონება მომართული, აშკარა უნდა იყოს, რომ შენიშვნის ავტორის მიერ მოყვანილი ადგილი სოც.-დემოკრატიულ პროგრამიდან პასუხს არ იძლევა იმაზე, თუ როგორ უნდა განაწილდეს მიწა. დეე, თვითონ მკითხველმა განსაჯოს, მართალი ვიყავი მე თუ არა, როდესაც ვწერდი, რომ სოც.-დემოკრატები არას ამბობენ მიწის განაწილების შესახებ მეთქი. მხოლოდ სოც.-დემოკრატიულ პროგრამით დაბრმავებული ან კიდევ განგებ სიმართლის გადამფუჩეჩებელი იტყვის იმას, რასაც ამ შემთხვევაში ამბობს შენიშვნის ავტორი და გაზეთი „ზარი“.

„მეორე ტყუილი“, ავტორის აზრით, ჩემ წერილებში შემდეგია: „არავითარი შრომა არ სჭირიათ სოციალ-დემოკრატებს იმისთვის, რომ გლეხთა ცხოვრება და მეურნეობა გაუმჯობესდეს, უნდა ეცადონ მხოლოდ და თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ იმას, რომ პროლეტარიზაცია უფრო ჩქარა წავიდეს და სხვა.“ ამის წინ-მე ვამბობდი: თუ სოც.-დემოკრატები კვლავინდებურად მაგრა დგანან იმაზე, რომ გლეხმა მიწა უნდა დაჰკარგოს, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება იმედი ვიქონიოთ სოციალიზმის განხორციელებისა; თუ ისინი ასე ჰფიქრობენ, ვამბობდი მე,—მაშასადამე, მათ „არავითარი შრომა და ზრუნვა არა სჭირიათ“ და სხვა. შემდეგ, როგორც მაგალითს, ვასახელებ გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, რომელთა პროგრამაშიაც, როგორც ცნობილია, აგრარული ნაწილი არ არის. ამისდა მიუხედავად, ავტორს ჩვენი აზრი „ტყუილად“ მიაჩნია, და იმის მაგიერ, რომ აგვიხსნას და გვაჩვენოს, სად ან როგორა ზრუნავენ სოციალ-დემოკრატები გლეხთა მდგომარეობაზე, მოჰყავს რუსული ანდაზა, ისიც არეულად, და

იძლევა ორ კითხვას: „აბა როდის და რომელ ქვეყანაში არ მიუქცევიათ ყურადღება სოციალ-დემოკრატებს, რომ გლეხთა ცხოვრება არ გაუმჯობესდეს?“ და „როდის იყო, რომ სოციალ-დემოკრატია თავის ძალ-ღონეს პროლეტარიზაციას ახმარებდა?“-ო.

გაძლევთ პასუხს ამ ორ კითხვაზე. 1902 წლამდე, ვიდრე სოციალ-დემოკრატების პროგრამაში გაჩნდებოდა შესანიშნავი „ჩამონაჭრები“, რუსეთის ს.-დემოკრატები ყურადღებს არ აქცევდნენ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. გერმანიაში დღემდე, როგორც უკვე რამდენჯერმე ვთქვი, სოციალ-დემოკრატების პროგრამაში არ არის აგრარული განყოფილება და გერმანელი სოციალ-დემოკრატები პირდაპირ და პატიოსნად აცხადებენ, რომ არ შეგვიძლიან, თუ ჩვენ პროგრამას არ ვუღალატებთ, ვიზრუნოთ გლეხთა მეურნეობის გაუმჯობესებაზე. კაუცკი, მაგალითად, ამბობს: „ამ ჟამად ჩვენი პრაქტიკული მიზანი სოფელში განისაზღვრება კერძო პროლეტარულ და აგრეთვე საერთო კულტურულ ინტერესების დაცვით“-ო. უფრო გადაჭრით ამბობს ვიქტორ ადლერი, რომელმაც ვენის სოციალ-დემოკრატიულ კონგრესს წარუდგინა თავისი პროექტი პროგრამისა. „ჩვენ,—ამბობს ადლერი,—უნდა მხარი დაუჭიროთ ტეხნიკურ განვითარებას და ზრდას მწარმოებელ ძალთა... ჩვენ უნდა გაუწიოთ ასმსახური ამ განვითარებას... ჩვენ სრულის ცნობიერებით უნდა დავეხმაროთ მათ (იმ პირობებს, რომელიც მოამზადებენ საკუთრების საზოგადოებრივ ფორმას) ჩქარ აღორძინებას“.

ჩვენი სოც.-დემოკრატები ითხოვენ „ობშჩინის“ დარღვევას და იმ თავისუფლებას გლეხებისთვის, რომ გაყიდონ და იყიდონ მიწა. ამით სოც.-დემოკრატები სცდილობენ, როგორც ხშირად ამბობენ კიდეც, ჩააყენონ სოფელი კაპიტალისტურ განვითარების პირობებში, ხოლო ასეთ განვითარებას, მოგეხსენებათ, მოსდევს გლეხთა პროლეტარიზაცია.

გადავდივარ „მესამე ტყუილზე“. შენიშვნის ავტორს მოჰყავს ჩემის წერილიდან შემდეგი ადგილი: „თვითონ სოც.-დემოკრატები, აშკარაა, მთელ მიწას არ მოითხოვენ“. ამ ადგილის ამ რიგად მოყვანა პირდაპირ შენიშვნის ავტორის და „ზარი“-ს არა კეთილ სინიდისიერებას მოწმობს. ამ წინადადების შემდეგ მძიმეზის და მერე ნათქვამია: „მაგრამ „მხარს კი დაუჭერენ გლეხობას, თუ იგი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდება“. ამასთან ეს წინადადება ეკუთვნის წერილის იმ ადგილს, სადაც მე წარსულ დროზე ვლაპარაკობ, ესე იგი იმ დროზე, როცა სოც.-დემოკრატები ჯერ ისევ თავიანთ „ჩამონაჭრებზე“ იდგნენ, მაგრამ ტაქტიკური რეზოლიუცია კი გამოიტანეს—რომ მხარს დაუჭერთ გლეხობას, თუ იგი მთელ მიწას მოითხოვსო. რომ უფრო ნათლად დაუმტკიცოთ მკითხველს ის, თუ როგორ შეუძლიანთ „ზარს“ და იმის თანამშრომელს მოწინააღმდეგის აზრის დამახინჯება, აქვე მოვიყვანთ შეუცვლელად იმ ადგილს, საიდანაც გაზეთმა ზემოხსენებული ფრაზა ამოგლიჯა:

ფეხზე დამდგარი გლეხობა თხოულობდა მთელ მიწას და არა რაღაც ჩამონაჭრებს. და აი სოციალ-დემოკრატებმა მეორე თავიანთ კრებაზე გადასწყვიტეს, რომ „თუმცა ჩვენ წინანდელ ჩამონაჭრებზე ვრჩებით, მაგრამ... **მხარს** დაუჭერთ გლეხობას, თუ იგი **საკმაოდ ძლიერი** აღმოჩნდება მთელ მიწის მოთხოვნის საქმეში“: თვითონ სოციალ-დემოკრატები, აშკარაა, მთელ მიწას არ მოითხოვენ, მაგრამ მხარს-კი დაუჭერენ გლეხობას, თუ იგი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდება.

ესეც მესამე „ტყუილი“, რომელსაც ავტორი გვიკიჟინებს.

ზემოდ მოყვანილ სამი „ტყუილის“ ძალით, შენიშვნის ავტორმა გამოგვიცხადა მძიმე ბრალდება: დამნაშავეა ტყუილებისთვის, მაგრამ ეპატიება, რადგან სოც.-დემოკრატიული პროგრამმა არ იცისო. დეე, ეხლა მკითხველმა განსაჯოს, რამდენად მართალია ბრალდება. ჩვენ კი ჩვენის მხრით გაზეთს და იმის თანამშრომლებს ვეტყვით ერთს: დიდ მანძილს ვერ გაივლის ის მწერალი, რომელიც საბუთების და არგუმენტების ნაცვლად პათეტიურად გაჰკივის და სცდილობს თავის უცოდინარობას და უსაბუთობას ქრისტიანულ სიმშვიდის ფარდა გადააფაროს.

**სერგეი ზორინოვი**

## ოდესის ცხოვრება.

მენაოსნეთა გაფიცვა და გაფიცვის მსვლელობა.—უნივერსიტეტის ავტონომიის დარღვევა და სტუდენტობა.—წელს კურს-დამთავრებული ქართველები.

ოდესელი კაპიტალისტები, რა თქმა უნდა, დღეს უფრო გულ-დამშვიდებულნი და ზურგ-გამაგრებულნი ჰგრძნობენ თავიანთ თავს, ვიდრე თვით პლევეს დროს. ან კი რატომ!? თუ წინად იმათ ინტერესების დამცველად გამოდიოდა მხოლოდ ადმინისტრაცია, დღეს ამას ზედ დაემატა მთელი ოდესსის სახელ-განთქმული და დღევანდელ პირობებში ყოვლად შემძლე „რუსის ხალხის კავშირი“, რომელსაც თავის პროგრამის ერთ უმთავრესს მუხლად ეთვლება კაპიტალისტების ინტერესების დაცვა. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ ზოგიერთ აქაურ კაპიტალისტს სადღეღელი აეშალა, მოისურვა ძველის წესების აღდგენა თავის წარმოებაში და ამგვარად ჯავრის ამოყრა მუშებზედ, რომელთაც თავისუფლების დროს რის ვაი-ვაგლახით გამოჰგლიჯეს გაუმაძღარ მწარმოებლებს ცოტა იმაზე მეტი, ვიდრე იგი თავისის ნებით უწყალობებდა ხოლმე.

ამგვარის მისწრაფებით აიხსნება „რუსის სავაჭრო-სანაოსნო საზოგადოების“ ქცევა. ხსენებულმა საზოგადოებამ ან, უკეთ რომ ვთქვათ, იმისმა წარმომადგენელმა ბ-ნმა რეჟეცკიმ, პოლიციის დახმარებით, რეგისტრაციის ნება არ მისცა მუშებს და ამგვარად წაართვა ის, რაც დიდის ვაი-ვაგლახით მოიპოვეს წინედ. მატროსებმა გაფიცვით პასუხი გასცეს. მათვე მიემხრნენ პურის დამტვირთავი მუშები, სხვათა შორის, ქართველ მუშათა არტელი —500 კაცამდის. ამათ ყველამ მოთხოვნილებანი წარუდგინეს, მაგრამ ბ-ნმა რეჟეცკიმ ყურიც არ ათხოვა. მას უკვე საქმე ჰქონდა გაკეთებული: გაფიცულთა მაგიერ მატროსებადაც და დამტვირთავ მუშებადაც მიეღო „რუსის ხალხის კავშირის“ წევრები. თუმცა დამტვირთავ მუშების ადგილი და საქმის გაკეთება ყველასთვის შესაძლებია და მოსალოდნელიც იყო მათი ალაგის დაჭერა, მაგრამ მატროსების ადგილზე გაუწრთვნელ მუშების მიღებას კი გაფიცულნი არ მოელოდნენ. რეჟეცკიმ, როგორცა სჩანს, „რისკი“ ამჯობინა, თუმცა იაფად არ დაუჯდა: ზოგი გემი დაუმტვრიეს, ზოგიც გზაზედ გაუჩერდათ. მაგრამ ბოლოს მაინც ანგარიში წაუხდა—მატროსები ისე ადვილად არ ჩამოეხსნენ, როგორც ეგონა, და რეჟეცკი იძულებული გახდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა. გაფიცულთ გადასწყვიტეს ბოლომდის ბრძოლა. ფორმები, რომელშიაც ეს ბრძოლა იხატება, დეპეშებიდან უკვე გეცოდინებათ. საყურადღებოა ამ შემთხვევაში გაფიცულთა კომიტეტის მოქმედება.

გაფიცულთ ხელმძღვანელობდა მათ მიერვე ამორჩეული კომიტეტი. რომელიც პირველ ხანს შესდგებოდა მხოლოდ სოც.-დემოკრატებისა და სოც.-რევოლიუციონერებისაგან. სჭარბობდნენ პირველნი, და სწორედ ამისი ბრალი იყო, რომ, სოც.-რევოლიუციონერების მხნე პროტესტის მიუხედავად, გაფიცვას შეუერთდნენ გადამტვირთავ მომუშავენიც. ს.-რევოლიუციონერები ამტკიცებდნენ, რომ ამ მუშების ადგილების შევსებას ყოველთვის მოახერხებენ; მათი გაფიცვა გაუხირდებათ კიდეც, რომ როგორმე თავიდან მოიშორონ „მოუსვენრები“ და მათ ალაგზედ სასურველი ელემენტი მიიღონ. ამასთან დასძენდნენ, გაფიცულთა რიცხვი ძლიერ გაბევრდება და შესანახად მეტად ბევრი ფული იქნება საჭირო. მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა სიმრავლით თავისი გაიტანეს და ნავთსადგურის მუშებიც შეუერთეს გაფიცულთ. კაპიტალისტები მკაცრად დახვდნენ მუშებ, მაგრამ ს. დ-ები მაინც მოთმინებასა ჰქადაგობდნენ, მაშინ როდესაც ს.-რ-ები თხოულობდნენ მხნე ზომების მიღებას. ბოლოს სოციალ-დემოკრატები ვეღარას გახდნენ: მათი ტაქტიკა უკუ-აგდეს და მიიღეს ს.-რისა. მალე საქმეში ანარ.-სინდიკალისტებიც ჩაერივნენ. გაიგეს თუ არა ამათ, რომ საქმე ასე გამწვავდა, კომიტეტში ს-რევოლიუციონერების საშუალებით წინადადება შეიტანეს: ყოველსავე დახმარებას გაგიწევთ, ოღონდ კომიტეტში ერთ-ერთის წარმომადგენელის ყოლის ნება მოგვეცით, რომ საქმე ახლო გავიცნოთო. ეს-დეკებს გაგონებაც არ უნდოდათ ამისა, კიდევაც დაიმუქრნენ, თუ ან.-სინდიკალისტები კომიტეტში ფეხს შემოსდგამენ, ჩვენ ყველაფერს თავს დავანებებთო. მუქარამ ვერ გასჭრა და ეს-ერების წინადადება მიღებულ იქნა. ს.-დემოკრატები არ წავიდნენ, მათ დელეგატთა კრებას დაუწყეს ცდა, ეგონათ იქ მაინც რასმე გახდებოდნენ. მაგრამ აი შესდგა კრება და ს.-დემოკრატები იძულებულნი გახდნენ თვითონვე წასულიყვნენ. მათი ტაქტიკა უკუ აგდეს, რევოლიუციონურებისა კი ერთ ხმად მიიღეს. კომიტეტშიაც ეს-დეკების თავისუფალ ადგილებზე აირჩიეს ეს-ერები. დელეგატთა კრებაზედ მიღებულ ტაქტიკას ორგვარი აზრი აქვს: ერთის მხრივ—კაპიტალისტების დაზარალება, მეორეს მხრივ—თავიანთ კონკურენტ, შავრაზმელთა, დაშინება დაფრთხობა. ჯერ შეურყევლად ადგანან ამ გადაწყვეტილებას და ვნახოთ რითი დასრულდება ბრძოლა.

გაფიცვა დაიწყო 23 ნოემბერს. სწორედ იმ დროს, როდესაც ნავთსადგურიდან მუშები ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდნენ, სტუდენტობა მიეშურებოდა სტუდენტთა საერთო კრებაზედ.

კრება გამოიწვია უნივერსიტეტის ავტონომიის დარღვევამ. ეს, როგორც დეპეშიდან გეცოდინებათ, მოხდა 22, როდესაც უნივერსიტეტში დღესასწაულობდნენ პიროგოვის ხსოვნას. უნივერსიტეტი პოლიციელებით გაივსნენ და ბოლოს იმით მართლულობდნენ თავს, ვითომ წესრიგის დამცველად მოვიდნენ პროფ. ბატუევის მიერ ნება აღებულ კრებაზედ. ნამდვილად-კი საქმე სხვანაირად იყო: ვიღაცას შეეტყობინებინა პოლიციისთვის, რომ უნივერსიტეტში მეზღვაურთა კრებააო, და ისინიც იმიტომ მოვიდნენ. ასე იყო, თუ ისე, ავტონომია დარღვეულ იქნა, ის ავტონომია, რომელიც ასეთის ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ მოიპოვა უნივერსიტეტმა. სტუდენტობა ამას, რასაკვირველია, გულგრილად ვერ აიტანდა. კამათი იყო იმაზე, შეიძლება თუ არა კიდევ სწავლის გაგრძელება, ხოლო თუ შეიძლება, რა გვარად. გამოირკვა ორი აზრი: ერთნი, სოც.-რევოლიუციონერების მეთაურობით, ითხოვდნენ უნივერსიტეტის დაკეტვას. სხვათა შორის, ესენი თავიანთ აზრს ასაბუთებდნენ იმით, რომ ეხლანდელ არჩევნებისთვის საჭიროა ინტელიგენტური ძალა და თუ ჩვენ მართლა რევოლიუციონერები ვართ, უნდა ხალხისკენ გავეშუროთო. მეორენი, სოც.-დემოკრატების მეთაურობით, ძალებურად გაიძახოდნენ რეზოლიუციების გამოტანას და უნივერსიტეტის გახსნას. ერთმა, რომელიც უმცირესობის ფრაქციიდან უმრავლესობაში გადავიდა, კრებაზე საჯაროდ დაჰგმო უმცირესობის ტაქტიკა და კადეტებზე დაბლა დააყენა. ბოლოს მაინც კენჭის ყრით გადასწყვიტეს უნივერსიტეტის გახსნა, რაც სხვათა შორის აიხსნება იმით, რომ ამ დროისთვის ბევრი ეგზამენებში იყო ჩაბმული. მაგრამ არ გასულა ერთი კვირა, რომ უნივერსიტეტის დაკეტვის საკითხი ხელმეორედ იქნა წამოყენებული. მიზეზი ახლად დაბრუნებულ რექტორის მოქმედება იყო (რექტორი დეპუტატად იყო პეტერბურგს წასული). ამან ცოტა რეპრესიებს მიჰყო ხელი; კრებები აქ ძალა განცხადებები დაგლიჯა და სხვა. ამ კრებაზედაც იგივე განმეორდა. აღსანიშნავია თვით ამ საკითხის ასე მალმალე წამოყენება.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში დასრულდა სახელმწიფო ეგზამენები, დაასრულეს კურსი შემდეგმა ქართველებმა: გრ. აბაკელიამ (იურიდიული ფაკულტეტი), ამბროსი სვანძემ და პლ. ზედგენიძემ (საბუნების მეტყველო განყოფილება ფიზიკო-მატ. ფაკულტეტისა), პლ. გიგინეიშვილმა, ან. ლორთქიფანიძემ, ან. პატარაიამ, გრ. ამაშუკელმა, მელიტ. არეშიძემ—სამკურნალო ფაკულტეტი.

**მროველი.**

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

**არჩევნები მუშათა კურიაში პეტერბურგს.** 7 იანვარს პეტერბურგში მოხდა არჩევნები მუშათა წარმომადგენლებისა. არჩევნები მოხდა 131 ქარხანასა და სხვა სამრეწველო დაწესებულებაში. გამოირკვა 79 დაწესებულების შედეგი. არჩევნები არ მოხდა 28 დაწესებულებაში. დანარჩენ 51 დაწესებულებიდან გამოცხადდა მხოლოდ 5616 მუშა, თუმცა ხმის უფლება 17, 169 მუშას ჰქონდა. აირჩია 55 რწმუნებული; აქედან 49 რწმუნებული მუშაა, 3 ხელოსანი და 3-იც კორექტორი. არჩეულიდან 48 მართლმადიდებელია, 4 კათოლიკე, 3 ლუტერანი. ეროვნებით: 49—რუსია, 3—პოლონელი, 2—ესტონელი და 1—გერმანელი.

**პოლიტიკურ პარტიათა კანდიდატები სათათბიროში.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, მშრომელთა ჯგუფის პეტერბურგელ კომიტეტს შემდეგი კანდიდატები დაუსახელებია სახელმწიფო სათათბიროსათვის პეტერბურგიდან: ლუტუგინი, ვოდოვოზოვი, დე-პლანსონი, ზარუდნი და დუშეჩკინი; „17 ოქტომბრის კავშირის“ კანდიდატები: პროფ. ბერენდსი, ბელიაევი, პრივ.-დოც. გრიბოედოვი, ქალაქის მოურავის ამხანაგი დემკინი, პრივ.-დოც. ბარონი მეიენდორფი, მილიუტინი, პარფენოვი და ვექილი ჩისტიაკოვი. „მშვიდობიან განახლების“ პარტიის კანდიდატები: აკადემიკოსი არსენიევი, ვექილი გოლლევსკი, იაჩევსკი, ელისავეტპოლის გუბერნატორად ნამყოფი გენერალი თაყაიშვილი, მღვდლები—აგეევი და პეტროვი.

## ახალი ამბავი

**ჩხრეკა.** გუშინ, 9 იანვარს, ვერაზე სხვა სხვა ქუჩას ალყა შემოარტყეს პოლკმა, ყაზახებმა და ჯარმა და შეუდგნენ ჩხრეკას. სჩხრეკავდნენ ეზოებსა, ბაღებს და სახლებს. როგორც ამბობენ დაუპატიმრებიათ რამდენ მე კაცი.

**სამხედრო საოლქო სასამართლო.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო საოლქო სასამართლოში მიეცათ ტფილისის მაზრის მცხოვრებნი გიორგი კანდელაკიშვილი (იგივე გოგოლაშვილი), კოტე ელისაშვილი (იგივე მთიულიშვილი), ექვთიმე (იგივე არსენ) ნაცვლიშვილი, გიგო გოგიძე და გიორგი მარტიაშვილი. ამათ ძარცვა-გლეჯა და თავ-დასხმა ბრალდებათ. საქმე გაირჩევა ომიანობის დროის კანონით.

**გადასახლება.** ახალ-სენაკის საპყრობილიდან, გენ. გუბერნატორის განკარგულებით, სამხ. წესის მოხსნამდე იგზავნება 17 პოლიტ. ტუსაღი: არხანგელის გუბ.: ივლ. ჰანტურაია, ბითუ კორზახია, ესტ. სოხაძე, იაკ. მატკავა (75 წ.) სტ. მახარაძე, რემა კაჭარავა, და დიმ. ლორთქიძე (60 წ); ოლონეცკის გუბ.: ივ. რუსია, პ. არძიანი, ლ. ბერია და სირბ. ცხვიტარია (75 წ) სამი შვილებით: მიხეილ, ჯაგუ და ვანოთი. ტობოლის გუბ.: ივლ. ცხვიტარია. ტფილისიდან ასტრახანის გუბერნიაში იგზავნებიან კაზ. კონდრატოვიჩი და ვლად. ყიფიანი.

**ეტაპით გაგზავნა.** ტფ. საგ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან: რაჭველი პლატონ გიორგობიანი, რაფ. აკოფიანცი, ლეჩხუმელი სამსონ სვანიძე, თელა-ღელელი, ალექსანდრე ჭელიძე, ვლ. ბიკოვი, პეტ. გევორგიანი, არ. კრიკოროვი, ქიშმიშევი, ცხინვალელი ვასილ კაზაევი და საროელი ილია ოსიტაშვილი.

**სასჯელის შემსუბუქება.** ტფ. საგუბერნიო სატუსაღოში დაპატიმრებული ნინოყიფიანი გაანთავისუფლეს, მაგრამ დააკისრეს სამის დღის განმავლობაში საზღვარ-გარედ წავიდეს. იმავე სატუსაღოში ტიგრან ვართანიანცს ასტახანში გაგზავნის ნაცვლად მიესაჯა სამის თვით დაპატიმრება. იმავე გუბერნიაში გაგზავნილი იყო გიორგი გვერდწითელი. ეხლა ნება მიეცა უკან დაბრუნდეს.

**დაჯარიმება.** ტფილისის სახლის პატრონს მეშადი-ბეკო, რომლის სახლშიაც (ველიამინოვის ქუჩაზე) 5 დეკემბერს აფეთქდა ყუმბარა, დაჯარიმებულ იქნა 3000 მანეთით.

**ქალაქის საბჭო.** წელს ტფ. საქ-ის პირველი სხდომა შესდგა 8 იანვარს, ხმოსნები ჩვეულებრივად ცოტანი დაესწრნენ. საბჭომ მთელი საღამო წვრილმან საქმეებს მოუნდა. ხმ. ზაბოვი შეეკითხა გამგეობას როდის წარმოადგენთ საბჭოს განსახილველად იმას, თუ რა მოხდა წყლის მილის საბუხჰალტერო განყოფილებაში. გამგეობის წევრმა აღუთქვა საბჭოს, იანვრის ბოლო რიცხვებისათვის დაბეჭდილი მოხსენება დაეგზავნება ხმოსნებსაო. საბჭომ განიხილა სხვათა შორის შუამდგომლობა ქალაქის ლომბარდის გამგეობისა, მიეცეთ ლომბარდის მოხელეებს საჩუქრად 880 მან. 31 კაპ. საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება, მოხელეებისთვის საჩუქრების დარიგების შესახებ. განხილვა მოხსენებისა საყასბოს [illegible] ებში გასამრჯელოს დანიშვნის შესახებ გადაიდო 15 იანვრისთვის.

**ხმოსნების საარჩევნო სიები.** ქალაქის თავმა აცნობა გუბერნატორს, რომ საბჭოს ხმოსნების საარჩევნო სიები უკვე მზად არის და ამ დღეებში გამოქვეყნებული იქნებაო. სიები დაეგზავნება ამომრჩევლებს პოლიციის ხელით, გაზ. „კავკაზის“ დამატებად. მსურველთ შეეძლებათ სიების მიღება აგრეთვე ქალაქის გამგეობის დარბაზში.

**გენ. ალიხანოვის ჩამოსვლა.** 7 იანვარს პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი.

**დუქნების გაღება.** როგორც აღვნიშნეთ ოლგას ქუჩაზე 7 იანვარს ყაზახ-ს და პოლიციელის მოკვლის გამო დაკეტეს დუქან-მაღაზიები სამხედრო ოლქ-ს სასამართლოდან მოკიდებული თითქმის ვერის დაღმართამდე. გუშინ ვაჭრებს, ერთის მეპურის გარდა, ნება დაერთოთ განაახლონ ვაჭრობა.

**სწავლის განახლება.** რადგანაც ტფილისში ჯერ კიდევ ქუნთრუშაა, სასწავლებლებში სწავლის განახლება მოხდება მხოლოდ 16 იანვარს.

ტფ. საკომერციო სასწავლებლის დირექტორი დანიშნული ბ-ნი გეხტმანი 9 იანვარს უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

**საარჩევნო კრებები.** დანამდვილებით ამბობენ, კავკასიის ნამესტნიკს გადაუწყვეტია, ნება დართოს ამომრჩევლებს, გამართონ საარჩევნო კრებები და შეუდგნენ აგიტაციას სადეპუტატო კანდიდატების დასასახელებლად.

**შემოწირულება.** ნახჩევანიდან (ერევნის გუბ.) მოგვივიდა ბ-ნ გედ. ქუთათელაძის მიერ შეგროვილი 41მ. და 10 კაპ. დაზარალებულთა სასარგებლოდ. ეს ფული კარგა ხანია მოგვივიდა და დაზარალებულთა ფონდის კომიტეტსაც მაშინვე გადავეცით, მაგრამ ვერ გამოვაცხადეთ რადგან შემომწირველთა სია დაიკარგა. ამ სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

ტფ. ქალთა მეხუთე გიმნაზიის მოწაფის იმ—შვილის სასარგებლოდ რედაქციამ სახინო თურქისაგან მიიღო ხუთი მანეთი.

## ქუთაისის ქრონიკა

შემოდგომის აქეთ ქუთაისიდან ტფილისში დაირება ვაგონი ისე, რომ მგზავრნი იძულებულნი აღარ არიან, რიღნში ადგილი იცვალონ. ვიდრე სიცივეები დაიწყებოდა, ამ ვაგონით სიარული ზელ საყრელი იყო, ეხლა-კი ისეთი სიცივეა ამ ვაგონში, რომ ვეღარავინ ბედავს იქ მგზავრობასა და ყველა რიღნში ადგილს იცვლის ხოლმე.

ბავშვების მზრუნველმა საზოგადოებამ 4 იანვარს ღარიბ ბავშვებისათვის გამართა მოზის ხე. თეატრი სავსე იყო ბავშვებით, რომელთაც, ტკბილეულობის გარდა, თბილი ჩასაცმელი და მატერიები დაურიგეს. ჩასაცმელი ხვდა 300 ბავშს, ხოლო დანარჩენებს ტკბილეულობის მეტი არაფერი რგებია. მადლობის ღირსნი არიან საზოგადოების გამგენი. ქ-ნ. ნაზაროვის სიკვდილის შემდეგ საზოგადოების გამგეობას მეთაური აღარა ჰყავს და ამცოტა ხანში აპირებენ კრების მოწვევას გამგეობის განსაახლებლად.

5 იანვარს ქალაქის გამგეობაში შეკრებილმა ვაჭრებმა ქალაქის თავის თავმჯდომარეობით აირჩიეს შემდეგი პირნი, რომელთაც უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ კომისიაში, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს სავალდებულო დადგენილებანი სავაჭრო, სამრეწველო, სახელოსნო და სხვა ამგვარ დაწესებულებათა მოსამსახურეების დასვენებისა და მუშაობის დროს განსაზღვრის შესახებ. ვაჭართა წარმომადგენლებად აირჩიეს: ს. ბ. ღეხელი, ა. ი. ასხიანელი, ი. ტ. ხაინდრავა, ნ. ი. ინჯია და თ. ა. ქავთარაძე,—ამათ კანდიდატებად: რ. ე. მიქინაშვილი და ს. მ. გულავა.

ამავე საგნისათვის ქალაქის თეატრში 5 იანვარს მოწვეულნი იყვნენ ნოქრები და ხელოსნები. ნათლიღების წინა დღე შესაფერად არ იყო ამ კრებისათვის შერჩეული და ამიტომ კრებაზედ შედარებით ნაკლები რიცხვი ნოქრებისა გამოცხადდა.-ჯერ კიდევ კრება არ გაეხსნა ქალაქის გამგეობის წევრს კ. ბაქრაძეს, რომ თეატრის ქანდარაზე ადგილი დაიჭირა 4 შეიარაღებულმა ყაზახმა. ამ გარემოებამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება იქონია შეკრებილე-

ზე). ჩვ გმა სთხოვა ბ-ნ ბაქრაძეს დაერწმუნებინა ბოქაული, რომ კრებაზე წესიერება არ დაირღვევა და ყაზახები გაეყვანა; უამისოდ, განაცხადეს მათ, გარდა იმისა, რომ აღარავინ მოვა, დამსწრენიც წასვლას აპირებენო. ბ-ნი ბაქრაძე მოელაპარაკა ბოქაულს, თავს იდვა წესიერების დაცვა და ამის შემდეგ ყაზახები გაიყვანეს. თავმჯდომარემ კრება გახსნა. ვიდრე კრების საგანს აუხსნიდა დამსწრეთ, ერთმა მათგანმა სიტყვა ითხოვა და განაცხადა, რომ უმრავლესობა დაინტერესებულ პირთა კრებას ვერ დაესწროდ. რადგან ვაჭრებმა ისინი არ გაანთავისუფლესო, ამიტომ მოითხოვეს კრების სხვა დროსთვის გადადება. ბევრის თათბირის შემდეგ კრება გადაიდო. ამავე დროს ნაშუადღევის 4 საათისათვის. შეკრებილთ სთხოვეს ბ. ბაქრაძეს ქალაქის გამგეობას აეძულებინა ვაჭრები, რომ ამ დროსთვის ვაჭრობა შეეწყვიტნათ, მაგრამ ბ-ნმა ბაქრაძემ განაცხადა, რომ ამას ვერ იტვირთებს, რადგან ამისათვის არც უფლება აქვს ქალაქის გამგეობას და არც ძალა.

ნაშუადღევის 4 საათზე თეატრი გაიჭედა ნოქრებითა და ხელოსნებით. კრების გახსნისათანავე ამხანაგების მინდობილობითა და თანხმობით ერთმა განაცხადა სურვილი, რომ თავმჯდომარე თვით დამსწრეთ აერჩიათ. როცა ბ-ნი ბაქრაძე ამისი თანახმა არ გახდა, კრებამ მოითხოვა, რომ განცხადება ოქმში ყოფილიყო შეტანილი. შემდეგ ამისა ერთმა ორატორმა მოითხოვა სიტყვა და განაცხადა შემდეგი: იყო დრო, ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევდნენ და საქმის მწარმოებელნი თავისუფლად სარგებლობდნენ ჩვენის უმწეობით და შრომით. ეხლა დრონი იცვალნენ: მუშა ხალხი მიხვდა, რომ იგი ძლიერია სოლიდარობითა და ერთობით; იგი დაირაზმა და იერიში მიიტანა კაპიტალისა კაპიტალისტების წინააღმდეგ და მედგარის ბრძოლით მოიპოვა ის, რასაც მას მთავრობა ასის წლობითაც-კი არ უწყალობებდა მუშათა მოძრაობამ მთავრობა საგონებელში ჩააგდო მუშის მოსაზიდავად მან ბევრ გვარ საშუალებას მიმართა, მაგრამ შეგნებული ნაწილი მუშებისა აშკარად ხედავს, რომ ატყუებენ. მინისტრთა საბჭო მიერ გამოცემული 15 ნოემბრის კანონი ისეთივე მაცდურია, როგორც სხვა ამ გვარი ხრიკები იყო და არის. ის რაც ეხლა უნდა დააკანონონ, დიდი ხანია ჩვენ მოვიპოვეთ მედგარის ბრძოლითა და სისხლის ღვრით და ერთად ერთი მიზანი ახლად გამოცემული კანონისა ის არის, რომ შეცდომაში შეიყვანონ შეუგნებელი ნაწილი მუშა ხალხისა და ამით მოიზიდოს იგინი, მით უმეტესად ამას მოითხოვს დღევანდელი დღე, როცა არჩევანი კარზეა მომდგარი, ჩვენ-კი შევადგენთ თითქმის მეოთხედ ნაწილს ამრჩევლებისას. მაგრამ ამით ვერ მოგვატყუილებენ. ჩვენ მოკლედ ვთვლით ჩვენს თავს, მონაწილეობა მივიღოთ კომისიაში და განვაცხადოთ ჩვენი მოთხოვნილებანიო. ორატორმა აღნიშნა ის გარემოებაც, რომ კომისიაში ვაჭრებს ორჯელ მეტი წარმომადგენელი ეყოლება, ვიდრე ნოქრებს, ვინაიდან ვაჭრები ირჩევენ ათ კაცს, ნოქრები-კი ხუთ კაცსაო.

სხვა ორატორებმაც კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს 15 ნოემბრის კანონი და, სხვათა შორის, ისიც აღნიშნეს, რომ ძირითადი კანონები ნებას არ აძლევდა მინისტრთა საბჭოს სათათბიროს გაუხილველად კანონები გამოეცა და ამ კანონის გამოცემა ძირითად კანონების დარღვევააო,

დასასრულ, შემდეგი პირნი აირჩიეს თავის წარმომადგენლად კომისიაში; ნიკო კილასონია, ილია მანდარია, გიორგი ასათიანი, სერაფიონ საჩირაძე და ალექსანდრე გოგუნავა. ამათ კანდიდატებად: ალექსანდრე ღლონტი და თედორე ასათიანი.

## საჯარო ლექცია ი. ა. ჯავახიშვილისა.

ახალგაზდა მეცნიერმა ჯავახიშვილმა წარსულ კვირას წაიკითხა საჯარო ლექცია: „ეკონომიური ისტორია საქართველოსი უძველეს დროიდან მეცამეტე საუკუნემდე ქრისტეს შობის შემდეგ“. რაღა თქმა უნდა, საგანი ძნელია, არაა რიგიანად შესწავლილი არც სამშობლო და არც უცხო ქვეყანათა წყარონი. დიდი მუშაობაა ჯერ კიდევ საჭირო, რომ შეიკრიფოს გაბნეული მასალანი. რიგზე დაიწყოს, კრიტიკულად განიხილოს და ისე გამომზევდეს.

სიმცირეს მასალისას არ შეუშინდა ლექტორი, რაც გამოქვეყნებულია, იმას თავი მოუყარა და შედარებით სავსე სურათი დაგვიხატა ჩვენის საქართველოს წარსულის ეკონომიურ ვითარებისა. მსმენელმა ბევრი ახალი რამ გაიგონა თავის ქვეყნისა და უეჭველია გულწრფელად ისიამოვნებდა. საყვედური ლექტორს ის ეთქმის მხოლოდ, რომ ერთ ლექციაში მეტის-მეტად მრავალ ფეროვან საგანს შეეხო. საჯარო ლექციათა საჭიროა, უფრო ადვილად რომ შეითვისოს მსმენელმა, დიდი საგანი და თემა ლექციისა. ნაწილებად დაიყოს და ისე გარდაეცეს მსმენელს, მაგრამ ამისი თქმა უფრო სურვილია ჩვენი, ვიდრე საყვედური.

ქართველ ერის სხვა და სხვა ტომებს უძველეს დროს მთელი წინა აზია ეჭირა. განვითარებულნი ქართველთა ტომნი, თუბალნი და მოსხნი ბინადრობდნენ პონტსა და კაპადოკიას, დღევანდელ ტრაპიზონის მხარეს. აქ დაბინავებულ ქართველობას დიდ ხანს ებრძოდნენ ასურეთის მეფენი და ბოლოს კიდეც დაიმორჩილეს. ასურეთის წყარონი მოწმობენ, რომ ქართველობას სცოდნია მადნეულობის ამოღება დედა-მიწიდან და მისი შემუშავება. შემუშავებულ საქონელს, ჭურჭელს და იარაღს საზღვარ-გარედ ჰგზავნიდა გასასყიდად, მაგალითად, ქალაქ ტორ'ში. შესანიშნავი გერმანელი ენათა მცოდნე ოტტო შრადერი ჰფიქრობს, რომ ევროპის ენებში შესული სახელები ზოგიერთ ლითონთა ქართულიაო. მაგალითად ბრინჯაო, ფოლადი და თუჯი. დედა-მიწის გულიდან ამოჰქონდათ აგრეთვე ვერცხლი და რკინა. თუ ქართულ სამაღლო კულტურას ზედგავლენა ჰქონია ევროპისაზე, სჩანს ქართველობა ათი საუკუნეს წინ ქრისტეს დაბადებამდე დიდი განვითარებული ერი ყოფილა და ალბად ეს განვითარებაა მიზეზი, რომ ასე დიდ ხანს შესძლო ბრძოლა ასურეთის ძლიერ მეფეებთან.

პირველ საუკუნის მწერალმა სტრაბონმა ფრიად საყურადღებო ცნობანი დაგვიტოვა შესახებ საქართველოსი. მაშინდელი საქართველო ორ დიდ ნაწილად ყოფილა გაყოფილი: კოლხიდა და იბერია. იბერია უფრო განვითარებული ყოფილა კოლხიდაზე. დასახლებულ სოფელ-დაბებით ყოფილა სავსე მაშინდელი იბერია, ანუ აღმოსავლეთის საქართველო. ბერძნებს გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონიათ იბერია კალხიდასთან. ჩვენის ქვეყნითვე მიდიოდა აღმოსავლეთის საქონელი და სავაჭრო საბერძნეთს. სატრანზიტო გზა კარგად ყოფილა შენახული და თურმე მარტო მდ. რიონზე ასოცი ხიდი ყოფილა გადებული.

საქართველოს ერი ოთხ წოდებად იყოფოდა, მოგვითხრობს იგივე სტრაბონი. აზნაურობა ორგვარი ყოფილა: დიდი აზნაური და მცირე აზნაური, ანუ ციხიანი და უციხო აზნაური, გლეხ-კაცობაც ყოფილა თავისუფალი. ამათ გარდა იყვნენ კიდევ ორის ჯურის გლეხნი, თავისუფლებას მოკლებულნი. პირველი ჯურისას საკუთარი მამული ჰქონია და მეორეს-კი არა ჰქონია უფლება მამულის საკუთრებისა.

როდის შემოვიდა სოფლად თვითგამგეობა, ანუ თვით მართველობა, დაბეჯითებით არ ითქმის მასალის უქონლობის გამო, ხოლო მე-11 საუკუნეში უკვე მოიპოვება სოფლად მამასახლისი, რომელსაც თვით მეფე, ან ერისთავი ნიშნავდა. მამასახლისივე ინიშნებოდა ბჭედ, ანუ მსაჯულად. იმავე სოფელში, სადაც მეფისაგან ერისთვის მიერ გამწესებული მამასახლის იჯდა, ინიშნებოდა მოურავი. ამ მოხელეს ამწესებდა ეკლესია თავის საკუთარ მამულის ყურის საგდებლად და მოსავლელად.

არაბები თითქმის 400 წელიწადი განაგებდნენ საქართველოს. ამათ ბატონობის დროს და შემდეგ საქართველომ თავიდან რომ მოიშორა იგინი, ჩვენ ქალაქებში ასეთი მართვა-გამგეობა დამკვიდრებულა. ქალაქ ტფილისს განაგებდა ამირა, მას ემორჩილებოდა შურტა, ანუ პოლიცმეისტერი. ყოფილა აგრეთვე დარბაზი, რომლის წევრებს ერქვათ დარბაზეულნი, ესენი ალბად ადმინისტრატიული მოხელენი იყვნენ, რომელნიც პირდაპირ ამირას, ან მეფისაგან გამწესებულ გამგეს, ექვემდებარებოდნენ. ამათ გარდა ქალაქის საქმეთ განაგებდნენ ქალაქის-ბერნი. არა სჩანს მათი რაოდენობა, მაგრამ ათზე ნაკლებნი მაინც არ იქნებოდნენ, რადგან ერთხელ ორჯელ იყვნენ მეფესთან ქალაქის-ბერნი სათხოვნელად და რადგან პირველი მოციქულობა უნაყოფო გამოსდგარა, მეორედ სხვა ქალაქის-ბერნი წასულან. ძნელია ჯერ-ჯერობით იმის გამოცნობა, თუ რა საქმე ებარათ ქალაქის-ბერებს, მაგრამ ცხადია, რომ მათი მოვალეობა ისეთივე იქნებოდა, როგორიცაა დღევანდელ საქალაქო საბჭოსი, ან გამგეობისა. არავითარი ცნობა არ მოიპოვება ჯერ-ჯერობით, თუ როგორ იყო მოწყობილი ქალაქისში საქალაქო საქმეთა გამგეობა. პატარა-ქალაქთა მეურნეობას უვლიდნენ ციხის-თავნი.

ვაჭართა წოდებას განაგებდა დიდი-ვაჭარი. ერთ-ერთი ამ ვაჭართაგანი ინიშნებოდა ბჭედ, ანუ ვაჭართა მსაჯულად.

არაბთა მფლობელობის დროს და შემდეგ საქართველოს პოლიტიკური ძლიერების გაფურჩქვნა-აყვავების დროს ვაჭრობა დიდად განცხოველდა. საქართველოს მაშინ აღებ-მიცემა ჰქონია სპარსეთთან, საბერძნეთთან, სომხეთთან და ბაღდადის სახალიფოსთან. ვაჭრობას ხელს უწყობდა ქვაფენილი გზები, გზების პირას აგებული ქარვასლები და სასტუმრონი, ანუ ფუნდუკნი. მეფენი ხელს უწყობდნენ გზათა გაკეთებას და ფუნდუკთა აშენებას. რანაირი ცხოველი ვაჭრობა ჰქონია მაშინდელ საქართველოს, გვიჩვენებს შემდეგი ცნობა. თურმე მატყლი შემოდიოდა საქართველოში ეგვიპტიდან გემ-ხომალდებით.

ვაჭრობას დიდად ხელს უწყობს აგრეთვე კრედიტი: უკრედიტოდ თითქმის შეუძლებელია განვითარებული ვაჭრობა და აღებ-მიცემა. ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად საქართველოს ჰქონია საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც რქმევია ურტაღი. ურტაღი **იგირავებდა** სოფლის მამულებს და ასესხებდა ფულს, ვისაც პირადად ენდობოდა. ურტაღს ერთხელ იმდენი დარჩენია დაუხსნელი მამული, რომ აღარ იცოდა თურმე, როგორ მოეშორებინა თავიდან. ჩვენამდის მოუღწევია ცნობას, რომ ერთ ამისთანა ურტაღს განაგებდა ამხანაგობა სამის წევრისაგან. ერთი ყოფილა ებრაელი, მეორე თათარი და მესამე სომეხი. უეჭველია, ქართველებიც იქნებოდნენ ურტაღების წევრებად, მაგრამ ჯერ ნაპოვნი არაა ასეთი ცნობა. ჩვენამდე მოუღწევია ერთ ფრიად საინტერესო ცნობას. ესაა თამასუქი მე-13 საუკუნისა. ამ თამასუქიდან სჩანს, რომ მაშინ იღებდნენ ასზე $44^4/_9$ სარგებელს. ქართული კანონები არას ამბობენ იმის შესახებ, თუ რამდენია კანონიერი სარგებელი, მაგრამ რჩევით-კი ურჩევდნენ, რომ ოცზე მეტი არ აეღოთ.

**ა. ყიფშიძე.**

(დასასრული იქნება)

## წარსულიდან

**მეფე სოლომონ II**

(ნაწყვეტი)

იმერთა უკანასკნელ მეფის სოლომონ მეორის ბედი ისეთივე ტრაგიზმითაა სავსე, როგორც ალექსანდრე ირაკლის ძისა.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს სულ შემხუთავი პოლიტიკური ვითარება დაატყდა თავს იმერთა სამეფოს. აფხაზეთი, რაჭა, გურია და, განსაკუთრებით, სამეგრელო შფოთისა და ამბოხების გუნებაზე დადგნენ. განცალკევების სურვილმა ისე მძლავრად შეიპყრო იგინი, რომ აღარ დაგიდევდნენ, რა მოჰყვებოდა იმათ შუღლსა და განდგომას. მიზეზი ასეთის გაალმასებისა სულ უბრალოა. ჩრდილოეთიდან საქართველოს უცხო ქარმა დაჰბერა, უძლეველი ბუმბერაზი აეყუდა კავკასიონის ქედსა და გადმობიჯებას აპირებდა. ძალა ხომ ძალა იყო, მაგრამ ძალასთან ერთად პირიდან სულ თაფლის წვენი ამოსდიოდა, ყველას სიკეთეს და დიდებას ჰპირდებოდა, ყველას თავზე ხელს უსვამდა და ნუგეშს აძლევდა, თავბრუ მოხვეულნი საქართველოს ნაწილთა გამგენი ჩრდილოეთის ბატონს ისე უყურებდნენ, როგორც მფარველ ანგელოზს და საჩივლად იქ მიდიოდნენ. შინაურობაში ყველაფერი აირეწა, აირდაირია და სოლომონს ფეხიდან ნიადაგი ეცლებოდა.

ქართლიდან გადასული საქართველოს ვიცე-კანცლერი თ. სოლომონ ლეონიძე, რომლის პოლიტიკური რწმენა ის იყო, რომ ერი, დამკარგველი თვითარსებობისა, მონაა მხაკვარიო, მხნედ მოქმედობდა, იბრძოდა განხეთქილების წინააღმდეგ, მაგრამ ვერას გახდა. ერთობა ირღვეოდა და დასავლეთი საქართველო უფსკრულისაკენ მიექანებოდა.

დიდის მოხერხებით და ენერგიით ებრძოდა სოლომონ მეორე ერთობის დამშლელ და დამარღვეველ ძალებს. ჰკვიანი მრჩეველი სოლომონ ლეონიძე მეფეს ხელს უწყობდა, ამხნევებდა და ამაგრებდა. დიპლომატიური მიწერ-მოწერა ლეონიძის ხელში იყო და საქმეს პირნათლად უძღვებოდა. ასე რომ სოლომონ მეორე თითქმის გამარჯვებული იყო შინაურობაში და სამეფოს წახდენის დარდსადა ფიქრს ხშირად გულიდან გადიყრიდა ხოლმე.

მეორე მტერი უფრო ძლიერი, სასტიკი და უძლეველი გახდა სოლომონისთვის. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტის დასაწყისში რუსეთის პოლიტიკა ბაბაყულის ქსელსავით შემოეხვია იმერთა ქვეყანას. აღმოსავლეთ-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან რუსები მოაწვნენ და გასავალი აღარ იყო. დარჩა მხოლოდ სამხრეთი, ახალციხის საფაშალიკო, სადაც ადვილი იყო მისვლა-მოსვლა ზეკარის უღელტეხილით.

ქართლ-კახეთში, ირაკლი მეორის მემკვიდრეობა რომ იკისრა რუსის მთავრობამ, მთავარმართებლობა უბოძა მხნე და გულზვავ სარდალს თ. პ. დ. ციციშვილს. ციციშვილმა მკახედ მოსთხოვა სოლომონს მორჩილება. აი სწორედ აქედან იწყობა მეორე ხანა სოლომონ მეორის მეფობისა. მთელი ათი წელიწადი იბრძოდა მეფე, არ ნებდებოდა რუსების ნება-სურვილს, ურჩობდა, იმალებოდა, პირფერობდა, ოღონდ როგორმე შეენარჩუნებინა თვით-არსებობა და პოლიტიკური თავისუფლება. ბოლოს, რომ ვეღარას გახდა ამ გზითა და ხერხით, ხმალს წაავლო ხელი და შეებრძოლა რუსის მხედრობას. დიდ ხანს გასტანა ბრძოლამ, მაგრამ ძალამ თავისი ჰქნა. იმერეთში გაბატონდა პოლკოვნიკი სიმონოვიჩი. მეფე-კი, როგორც ტყვე, ჩაიყვანეს ტფილისს და ციხეში უკრეს თავი. გენერალ ტორმასოვს უხაროდა, ძლივს მოვდრკა ურჩი მეფე და რუსეთს გავისტუმრებ, სადაც სხვა ბატონიშვილებიც პენსიონზე სცხოვრობენ მყუდროდ და შეუშფოთებლადო. ტკბილი ოცნება გაუცრუვდა ტორმასოვს. 10 მაისს 1810 წ. მეფე სოლომონი გაიპარა ტფილისიდან და ახალციხესავიდა. აქ ფაშას შემწეობით გამართა ლაპარაკი სტამბოლთან იმაზე, თუ როგორ დაეხსნა იმერეთი რუსებისაგან. ვერას გახდა ამ გზით მეფე და ერევანს ჩავიდა. აქაც რომ ბედმა არ გაუღიმა, წავიდა ტრაპიზონს და იქ გარდაიცვალა შვიდ თებერვალს 1815 წ., 42 წლისა. ამბობენ, ახალციხიდან რომ წავიდა სოლომონი, დედა-მიწას დაემხო, გადაჰკოცნა და შემდეგ თან წაიღო ერთი პარკი თავის ქვეყნის მიწა.

სოლომონ მეორე დასაფლავებულია ტრაპიზონში, ბერძნების წმ. გიორგის ეკლესიაში. საფლავს აღევს ქვის ძეგლი შემდეგის წარწერით, რომელიც განსვენებულ დ. ბაქრაძეს გადუღია 1860 წ.

„განმეძარცვა მე პირველ-ქმნილი სიკეთე და შვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული *) საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა შთამომავალი ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისცა ვითხოვ შენდობასა.“

წმ. გიორგი ეკლესიისათვის სოლომონს შეუწირავს ბერძნული სახარება ოქროთი მოჭედილი. სახარების წარწერიდან სჩანს, რომ იგი მოუჭედია მეფის მოძღვარს მღვდელ იასე ყანჩაშვილს.

სოლომონ მეორის მეფობით დასრულდა ბაგრატიონ გვარეულობის მეფობა საქართველოში, მის სიკვდილის დღიდან ჯერ საუკუნე არ შესრულებულა.

**ა. ფრონელი.**

*) ესე იგი სირცხვილით შემოსილი.

## პროვინციის ცხოვრება

**სამეგრელო.** დანაღვლიანებულად შეხვდა, მკითხველო, მეგრელი „კალანდას“. ის ამ დღეს აღარა მღეროდა და თავის გასუქებულ „ტახს“ (ღორი) ძველებურად აღარ შეექცეოდა! აღარც არაფერი იყო მისი სევდის გამქარვებელი და ამ გვარად ის მწუხარების მორევში ცურავდა. აღარ მოიპოვებოდა-რა, რომ რითიმე გამხიარულებულიყო ამ დღეს. მართლაც და ერთი მითხარით, რას უნდა გაემხიარულებინა საწყალი მეგრელი? რომ მიხვიდეთ და იკითხოთ, რაც არის მეგრელთა შორის ასეთი მწუხარება, ერთსა და იმავე პასუხს მიიღებთ: „ამიკლეს, ამაწიოკეს და ჩემი საქმე უკუღმა მიდის, ბატონო“, —გიპასუხებთ მეგრელი.

მართალიცაა, მეგრელი დღეს ყოველის მხრიდან შევიწროვებულია. გასულს წელს დიდი გასაჭირი მიაყენეს სამეგრელოს. ყოველგან გამეფებული იყო რეაქცია და დღესაც ესევეა. ვინ იცის, არც ერთი დაბა და სოფელი, რომელთაც რეაქციის ბრჭყალებს აღწევდნენ. რაკი რეაქცია გამეფდა სამეგრელოში, სტრაჟნიკებიც მოიგონეს და ძველებურად დაუწყეს ხალხს ყვლეფა; კვლავ იწყეს სოფლად თარეში.

გადასახადებისაგან ხომ ბოლოს შეწუხებულნი არიან მეგრელები, ნამეტურ გლეხები. თუ ოდესმე ... ყოველ, ყველა ეხლა გამოსჩხრიკეს, ყველამ ეხლა მოიკალათა თავი მთავრობის ხელში და ყველაფერი ეხლა გადახდა გლეხობას. ვინც ვერ შესძლო გადასახადების თავის დროზე გადახდა, იმას გაეყიდა ოჯახის ნივთეულობა და საქონელი: ზოგს—ძროხა, ზოგს—ქვევრი, ზოგს—ვინ იცის კიდევ რა. გადასახადების აკრეფის დროს გმირობას იჩენდნენ სტრაჟნიკები.

რაც შეეხება ძარცვა-გლეჯას, დაპარაკიც მეტია, აქეთ ძლიერ გავრცელებულია იგი. თუ ორი კაპეიკი გაქვს, წაგართმევენ. ამას ვინ დაგაჯერებს? ზედაც დაგაკლავენ. მაგალითი უთვალავია. რომ მკითხველს თავი არ მოვაბეზრო, დავასახელებ ერთს მაგალითს: ს. ბანძაში მოვაჭრე ლეკი მიმავალებულა ამ სოფლიდან ხონში. როდესაც მდინარე ცხენის წყალს მიახლოვებია, შეხვედრია რამდენიმე შეიარაღებული კაცი და მოუთხოვნია ფული. როდესაც უნახავთ, რომ არაფერი ჰქონია, გმირობა ჩაუდენიათ და წუთისოფელს გამოუსალმებიათ საწყალი ლეკი. გატაცებულ ფულსაც ხალხს ახდევინებენ. მარტვილში, მაგალითად, ხალხს გადაახდევინეს 1800 მანეთი, რომელიც წარსულ ზაფხულს იქაურ ფოსტიდან გაიტაცეს.

შიმშილის შესახებ ხომ გაზეთებშიაც ბევრი დაიწერა. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ დაწერით ბევრი იწერება და საქმით კი ცოტა კეთდება.

**ლადო მეგრელი.**

## რუსეთი

✦ **ტერორისტების დატუსაღება.** პეტერბურგიდან დეპეშით აუწყებენ „რუსკ. ვედ“.-ს, რომ იქ 1 იანვარს ქალაქის სხვადა-სხვა ალაგას დაუტუსაღებიათ ტერორისტულ ორგანიზაციის სამოც და ათი წევრი. პარტიულ მიწერ-მოწერის გარდა, ამათ უნახეს გეგმა მუშების აჯანყების მოწყობისა, დაწესებულებაზე თავ-დასხმისა და იარაღის საწყობების სია. ტერორისტების მიზანი იყო ყუმბარების სროლითა და ძალ-მომრეობით თავზარი დაეცათ მთავრობის წრეებისათვის, შემდეგ იმ გარემოებით ესარგებლათ, რომ დღესასწაულების გამო ჯარების ერთი ნაწილი ქალაქს გარედ იყო გაგზავნილი. და პეტერბურგში აჯანყება მოეხდინათ ტერორისტებმა თავისი განზრახვა ვერ შეასრულეს, რადგან მათი მეთაურები პოლიციამ ჩაიგდო ხელში.

✦ **შეთქმულების აღმოჩენა.** პეტერბურგში ხმები გავრცელდა ნამდვილ წყაროებიდან იმის შესახებ, რომ პოლიციამ აღმოაჩინა ტერორისტების შეთქმულება დაცვის განყოფილების ასაფეთქებლად. შენობა პირველ იანვარს უნდა აეფეთქებინათ, როცა იქ მოსამსახურენი და წარჩინებული მოხელეები თავს მოიყრიდნენ ერთმანეთისათვის ახალი წლის მისალოცად. შეთქმულების მეთაური, როგორც აღმოჩნდა, იმავე დაწესებულების ერთი მცირე მოხელეთაგანი ყოფილა. იმას უნახეს აფეთქების მოწყობის გეგმა. გამოძიება ამ საქმის შესახებ საიდუმლოდ სწარმოებს.

✦ **პოლიციის დეპარტამენტის განკარგულება.** პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტმა მოწერილობით მიმართა ჟანდარმთა გამგეობებს, რომელთაც ჰკიცხავს, საქმეს რიგიანად არ აწარმოებთ, რევოლიუციონერებს სასტიკად თვალყურს არ ადევნებთ. მხოლოდ მაშინ იჭერთ, როცა რაიმე ძალ-მომრეობას ჩაიდენენო. დეპარტამენტი ავალებს ჟანდარმთა გამგეობებს, ვრცლად აწარმოონ საქმე, სასტიკად შეებრძოლონ რევოლიუციონერებს და ამ საქმეში უმთავრესად პოლიცია მოახმარონ, რადგან იგი მცხოვრებლებთან დაახლოვებულიაო.

✦ **სიკვდილით დასჯილთა რიცხვი.** რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილია ცნობები იმის შესახებ, რომ 25 აგვისტოდან, როცა გამოცხადდა კანონი სამხედრო საველე სასამართლოების შესახებ, 1906 წ. 31 დეკემბრამდის სიკვდილით დაუსჯიათ სულ 600 კაცი.

✦ **სასტიკი ზომების გაძლიერება.** გაზ. „მოლ. ჟიზნ.“-ი ნამდვილ წყაროებიდან იუწყება, რომ მთავრობას გადაუწყვეტია არა თუ არ გააუქმოს სამხედრო-საველე სასამართლოები, არამედ კი-

დევ უფრო გააძლიეროს დღევან ელი თავისი სასტიკი პოლიტიკა. უმთავრეს მიზეზად ის მოჰყავს მთავრობას, რომ ბოლო დროს პეტერბურგსა და პროვინციის სხვა-და-სხვა ადგილას იარაღით შეტაკება მოხდა პოლიციისა და რევოლიუციონერებს შორის.

✦ **უწესოებანი დამშეულ გუბერნიებში.** ამ ბოლო დროს პოლიციის დეპარტამენტს ცნობები მოსდის ნიჟეგოროდის, სამარის, სარატოვის და სხვა დამშეულ გუბერნიებიდან, რომ იქ პოლიციისა და გლეხებს შორის, რომელნიც მემამულების პურს იტაცებენ, შეტაკებანი მოხდა. ბევრი არიან მოკლულნი და დაჭრილნიო.

✦ **პოლიციელების და რევოლიუციონერების შეტაკება.** 31 დეკემბერს პოლიცია თავს დაესხა ღამით პეტერბურგში „ვას. ოსტრ."-ის ერთ უბანში დიდ სახლს, სადაც მუშები და მოსწავლე ახალგაზრდები ცხოვრობენ. პოლიციელები მიუახლოვდნენ ერთ კარებს, დაარახუნეს და გაღება მოსთხოვეს. პასუხად ოთახში სროლა გაისმა. პოლიციელები განზე გადგნენ. ამ დროს გაიღო კარები და კორიდორში გამოცვივდნენ ოთახში თავმოყრილი რევოლიუციონერები. ორივე მხრივ ასტყდა სროლა, რომლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა ერთი პოლიციელი და მსუბუქად—უბნის ზედამხედველი. რევოლიუციონერები გაიქცნენ. პოლიციამ გაჩხრიკა სახლი და დაატუსაღა ოცი კაცი.

✦ **უნივერსიტეტების გაჩხრეკა.** პოლიციამ გაჩხრიკა ოდესის უნივერსიტეტი, ბევრი ჟანდარმისა და საიდუმლო პოლიციის აგენტის დასწრებით, დაატუსაღა უნივერსიტეტში მოსამსახურე ათი კაცი და ჰკითხულებდა ეუქვათ, სად არის ნაგლეჯები ხელმწიფის სურათისა, რომელიც ამ ბოლო დროს უნივერსიტეტში მომხდარ კრებებზე დახიესო. დატუსაღებულებმა უარჰყვეს ეს ფაქტი, მაგრამ პოლიციის მოხელეებმა მაინც არ დაუჯერეს და გაჩხრიკეს მთელი უნივერსიტეტის შენობა, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს.

ამგვარადვე გაუჩხრეკიათ ყაზანის უნივერსიტეტი, იქაც უშედეგოდ.

✦ **საუბარი სტოლიპინთან.** ცნობილ ინგლისურ გაზეთის „ტაიმს"-ის თანამშრომელს საუბარი ჰქონია სტოლიპინთან, რომელსაც უთქვამს: საჯაროდ ვაცხადებ, რომ თავის დღეში აზრად არ ჰქონია არც ხელმწიფეს და არც მთავრობას სახელმწიფო წყობილების ძირითადი ცვლილება მოეხდინა. მე თუ მომკლავენ, ჩემი მოადგილე ჩემი თანამოაზრე იქნება. სახელმწიფო სათათბირო და მინისტრების კაბინეტი—ახალი სახელმწიფო მანქანის განუყოფელი ნაწილებია და ერთად უნდა იმუშაონ. ამგვარ მუშაობაში უთანხმოება პირველი სათათბიროს დათხოვნის მიზეზად გახდაო.

შემდეგ სტოლიპინმა შესჩივლა მწერალს: ჩემმა კრიტიკოსებმა არ იციან, რა ძნელი საქმეა ერთ და იმავე დროს კანონების გამოცემა და დიდებულ იმპერიის გამგებლობა. ამიტომ მთავრობას იმედი აქვს, რომ სათათბირო გაუადვილებს ამ საქმეს და დაეხმარება ბიუროკრატიული სისტემის გაუქმებაშიო.

ჩვენი მტრები ამბობენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს, გააუქმოს მომავალი სათათბირო. მე გადაჭრით უარვყოფ ამ ყალბ ხმებსა, დასძინა სტოლიპინმა.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ცხინვალის ბიბლიოთეკას უსახსრობის გამო არ შეუძლიან საკუთარის შეძლებით შეიძინოს წიგნაკები და გამოიწეროს ჟურნალ-გაზეთები; ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ ყოველ გამომცემელს ჟურნალ-გაზეთებისას, რომ კვლავინდებურად არ დაუშურონ ბიბლიოთეკას ქართული, სომხური და რუსული გამოცემანი. ამასავე ვთხოვთ კერძო პირებსაცა.

ადრესი ჟურნალ-გაზეთებისა: Цхинвалъ, Читальня.

სხვა შემოწირულობა მიიღება: 1. ქართველ გამომცემელთა ამხანაგობაში (Товарищество Грузинскаго Издательства), ვახტის ქუჩა, ანტონ ფალავანდიშვილთან; 2. „ისარის" რედაქციაში, ავალიშვილთან; 3. წერა-კითხვის გამ. საზ., ედილაშვილთან.

ცხინვალელების მონდობილობით

**ანტონ ფალავანდიშვილი.**

სხვა გაზეთებსაც ვთხოვ, გადაბეჭდონ ეს წერილი.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 იანვარი.

**ახალ-ბაიაზეთი.** 7 იანვარს ღამის ორ საათზე მიწა საგრძნობლად იძრა.

**პარიზი.** მიღებულ ზომების მეოხებით, დღემ შედარებით მშვიდობიანათ ჩაიარა. ყველა ყაზარმაში ჯარი მზად იყო. დილმასთან 1500 კაცი მოგროვდა, მათ შორის უცხოელებიც იყვნენ. დრაგუნებმა ხალხი გაჰფანტეს. ზოგიერთები დააპატიმრეს.

**მადრიდი.** პურის გაძვირებისა გამო მუშებს შორის დიდი მოძრაობაა. ფინანსთა მინისტრმა მეწისქვილეთა სინდიკატს დეპეშით გაახსენა: ალთქმა არ დაივიწყოთ და შეეცადეთ, რომ უცხოეთიდან შემოტანილ პურზე დადებულმა ბაჟმა პურის ნიხრი არ აწიოსო. მინისტრმა პარლამენტში შეიტანა პურის გადასატან ტარიფ ს შემცირების წინადადება.

**პარიზი.** მანიფესტაციის დროს, სალამოთი, 149 კაცი დააპატიმრეს, 9 გააჩერეს, სხვები გაანთავისუფლეს—ერთი პოლიციელი მძიმედ დაიჭრა, 6 მსუბუქად.

**ნეინბურგი** (შვეიცარია). კანონ-პროექტი ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განშორების შესახებ ნეინბურგის კანტონის მცხოვრებლებმა, რომელთა უმრავლესობას ლოთრანები შეადგენენ ხმას უმეტესობით (15090 ხმით 8411 წინააღმდეგ) უარ-ჰყო.

**ლოძი.** 8 იანვარს, სალამოს 9 საათზე ვოლნი რინოკის მოედანზე ერთი მუშა მოჰკლეს, მეორე სასიკვდილოდ დასჭრეს.

**ყაზანი.** უნივერსიტეტის რექტორმა განცხადება გამოაკრა, რომ კანიკულების გათავებამდის ყოველგვარი კრება უნივერსიტეტის შენობაში შეუძლებელიაო. რექტორი უმატებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელ შედეგის პასუხის მგებელი მე არ ვიქნებიო.

**სიდნეი** (ავსტრალია). შაბათს, 8 იანვარს, ამოვარდნილმა ურაგანმა (ქარმა) კვინსლენდის ოლქში დაანგრია ქალაქ კუკტაუნის სამი მეოთხედი.

**კიევი.** სოფ. დმიტრიევკაში ახალგაზდა გლეხებმა ეკკლესია გაქურდეს.

**კოზლოვი.** საიდუმლო სტამბა სოციალ-რევოლიუციონერებისა აღმოჩნდა. პროკლამაციებთან სამი მილინტიანი ყუმბარა იპოვნეს.

**ლონდონი.** ტრაფალგარდის ბაღში დემონსტრაცია გაიმართა. თხოულობდნენ მშვიდობიან დროს სამხედრო სასამართლოების გაუქმებას და აგრეთვე განთავისუფლებას კაჩეგარ მიდის და სხვათა, რომელნიც პორტსმუტში მომხდარ არეულობის დროს გაასამართლეს. დემონსტრაციას სოციალ-დემოკრატების ფედერაცია მეთაურობდა მუშათა სოციალურ პარტიის ლიდერებმა სიტყვები წარმოსთქვეს.

**სოფია.** სტუდენტებმა საზღვარ-გარეთელ სოციალისტების დახმარებით ხელ-ახლა არეულობა გამოიწვიეს. მიტინგის შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტის დახურვისა გამო პროტესტი გამოაცხადეს, სტუდენტებმა მთავარ ფერდინანდის სასახლის წინ დემონსტრაციის მოხდენა მოინდომეს. ცხენოსანმა ჯარმა მანიფესტანტები გაფანტა. მიუხედავად ამისა, სტუდენტები ისევ შეიკრიბნენ მთავარ ქუჩებში, ჯარს ქვები დაუშინეს, სტვენა და რევოლვერებიც მიაყოლეს. ცხენოსანმა ჯარმა ხელ-ახლა მიიტანეს იერიში და ხალხს ხმლებით დაერია. დაჭრილი ბევრია. სალამოთი ქალაქში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. რესტორანები დაკეტილია, ქუჩებში პატრულები დადიან. დაპატიმრებული ბევრია. ამბობენ, მთავრობამ მთავარს სთხოვა, ნება დართოს, რომ ქალაქში საალყო წესები გამოაცხადოს. სტუდენტები სცდილობენ, ლექციების კითხვა ძალით განაახლონ.

**მოგილევი.** 8 იანვარს 12 საათზე შუა ქალაქში ეტლით მიმავალ პოლიცმეისტერს რადიონოვს სროლა აუტეხეს მეეტლე მძიმედ დაჭრა. რადიონოვმა სროლითვე უპასუხა. მერე ყუმბარა გადააგდეს, მაგრამ რადიონოვი უვნებელი გადარჩა. სტუდენტს, რომელმაც რევოლვერი ესროლა, პოლიცია დაეწევნა. მაგრამ მან თავი მოიკლა. ყუმბარის გადამგდებნი კი მიიმალა, გამოძიება სწარმოებს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს პირველმა დეპარტამენტმა, განიხილა რა უქვეშევრდომილესი მოხსენება გოლუბევის კომისიისა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის გურკოს მიერ ლიდვალისთვის 800,000 მანეთის წინდაწინ მიცემის შესახებ, დაადგინა: ამ საქმის თაობაზე მოეთხოვოს პასუხი გურკოს და ლიტვინოვს. პასუხის შემოტანის შემდეგ პირველმა დეპარტამენტმა დაადგინა, რომ ორივე სამართალში იქმნას მიცემული.

**მოსკოვი.** დესიატინსკის ვიწრო ქუჩაში ორი მუშა თავს დაეცა პოლიციელს, რომელსაც ცოლიც თან მიჰყავდა. მუშებმა პოლიციელი წაიქციეს, ხმალი წაართვეს და მოუქნიეს. პოლიციელი წამოხტა, რევოლვერი ამოიღო, ერთი მოჰკლა, ხოლო მეორე მძიმედ დასჭრა.

**ოდესსა** დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატების კომიტეტის 21 კაცი.

**ტოკიო.** პარლამენტში რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების შესახებ შეკითხვა შეაქვთ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**გ. ი. გმელიშვილი:** 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ა. **მ. პუგინოვი:** 6—7 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—2)

### გამოვიდა და იყიდება

აკაკის

ახალი წიგნი

## მამლის ყივილზე

**(ზღაპარი)**

ტფილისში წიგნი იყიდება „წ. კ. გამავ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში. (5—5)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. მწრომისარისა

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან სალამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—44)

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

წელიწადი **ნაკადული** მესამე

1097 **წლის 1 იანვრიდან 1903 წლის 1 იანვრამდის წლიურ ხელის-მომწერლებს მიეცემა:**

24 წიგნი, ჟურნალი „ნაკადული" **მცირეწლოვანთათვის** 12 წიგნი, ჟურნალი „ნაკადული" **მოზრდილთათვის**

დასურათებული წიგნები წლიურ ხელის-მომწერთა საჩუქრად არა ნაკლებ ასის გვერდისა თითო. პირველად მიიღებენ გრიმის ზღაპრებს.

წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებებით, ე. ი. 39 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი, ნახევარის წლით 2 მან. 50 კაპ., ცალკე პატარებისათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. თითო ნომერი ჟურნალისა პატარებისათვის ეღირება 15 კაპ., მოზრდილთათვის—25 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვთხოვთ ხელის-მომწერლებს ადრესი გარკვევით დასწერონ, დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილის სახ., № 8 ყოველ დღე 9—2 საათამდე, სამშაბათობით სალამოთიც; 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურ.; 3. წიგნის მაღაზია „Новая Рѣчь"-ში, გოლოვინის პროს.; 4. წიგნის მაღაზია „Образованіе"-ში, მიხაილოვის ქუჩა; 5. **ქუთაისი**, წიგნის მაღაზია „კოლხიდაში"; 6. **ბაქო**, ანა გრიგოლის ასულ ყვანიასთან და ნინო ქაიხოსროს ასულ დეკანოზიშვილთან; 7. **ბათუმი**, მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, კნეინა სოფიო ნაკაშიძესთან და „Черноморскія Новости"-ს რედაქციაში; 8. **ყვირილა**, წიგნის მაღაზია „ივერიაში"; 9. **ოზურგეთი**, წიგნის მაღაზია „იმედში"; 10. **თელავი**, საზოგადო ბიბლიოთეკაში, ბ. გოშაძესთან: 11. **ელისავეტპოლი**, ბ. კონსტანტინე ოდიშარიასთან; 12. **ახალციხე**, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ. ქიქოძესთან.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1907 ГОДЪ.

На ежедневную (зя исключеніемъ послѣ праздничныхъ дней) общественно-политическую и литературную газегу

## „ЧЕРНОМОРЪ"

Газета „ЧЕРНОМОРЪ" издается въ Батумѣ. Въ случаѣ закрытія газеты подписчики будутъ удовлетворены.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

ДЛЯ ГОРОДСКИхЪ подпи счиковъ на годъ—7 р., на 6 мѣс.—4 р., на 1 мѣс.—1 р.
ДЛЯ ИНОГОРОДНЫХЪ подписчиковъ на годъ—8 р., на 6 мѣс. 5 р., на 1 м.—1 р. 20 к.
заграницу прилагается 50 к. въ мѣсяцъ пересылочныхъ. ЗА ПЕРЕМЕНУ АДРЕСА: городского на иногородный 1 руб.. иногороднаго на иногородный 40 к., городского на городск. 20 коп.

**ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:**

За строку петита или мѣсто, занимаемое ею, впереди текста 20 коп.; за такую же строку петита илп мѣсто занимаемое ею, позади текста 10 коп.

Объявленія изъ Заграницы и Россіи за исключеніек Кавкака, Закавказья и Закаспійской области принимаются въ центрльной конторѣ объявленій торговаго дома Л. И. Э. МЕТЦЛЬ и Ко, въ Москвѣ (Мясницкая. дом Сытова), въ Петербургѣ (большая Морская 11, и Варшавѣ Краковскій пер. 53.

Подписка и объявленія принимаются ежедневно въ Батумѣ исключительно въ конторѣ газеты (Маріинскій просп. д. Канделаки).

Годовимъ подписчикамъ допускается разсрочка по соглашенію съ конторой.

**Подписавшіеся теперь же на будущій годъ получаютъ газету въ текущемъ году безплатно.** (3—1



## ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავლები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ

საფაბრიკო ნიშანს

## ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის „ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ი ლ ლ ე რ"-ის

**საქონლისა საწყობს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 40 იქვეა მრავლად**

✦✦✦✦ ტ ყ ა ვ ე უ ლ ო ბ ა ✦✦✦✦

რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (96—6.—39)